საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/171

27 ნოემბერი, 2018 წ.

ქ. ბათუმი

2019 წლისათვის ბსუ-ს სტუდენტური სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების მიღების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–15 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის N01-08/39 ბრძნანების, „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადის საბიუჯეტო კლასიფიკაციისა და გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობების განსაზღვრის თაობაზე“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 16 აპრილის N01-11/51 ბრძანებისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებლის გოჩა სურგულაძის 2018 წლის 22 ნოემბრის MES 4 18 01505672 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს ბსუ-ში 2019 წლისათვის **განსახორციელებელი** სტუდენტური სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების მიღება და განისაზღვროს შემდეგი ვადები:

   ა) განცხადებების (პროექტებისა) და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა - 2018 წლის 29 ნოემბრიდან 2018 წლის 26 დეკემბრის ჩათვლით;
   ბ) საკონკურსო კომისიის მიერ პროექტების შეფასება - 2018 წლის 27 დეკემბრიდან 2019 წლის 25 იანვრის ჩათვლით;
   გ) პროექტების შეფასების შედეგების გამოცხადება ბსუ-ს ვებგვერდზე - 2019 წლის 28 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით;
   დ) გამარჯვებული პროექტების განხორციელების პერიოდი 2019 წლის 25 თებერვლიდან არაუგვიანეს 2019 წლის 15 დეკემბრისა.
2. სტუდენტური პროექტების რეგისტრაცია იწარმოებს ელექტრონულად, სტუდენტურ პორტალზე - Portal.bsu.edu.ge-ზე. პროექტის ელექტრონულად ატვირთვა შესაძლებელია ინდივიდუალურად, მათ შორის საინიციტივო ჯგუფის/კლუბის/ ან/და სხვა სახის გაერთიანების სახელით. პორტალზე არასრულად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემთხვევაში პროექტი არ გადაეცემა კომისიას განსახილველად, რაც წერილობით ეცნობება პროექტის ავტორს.
3. პროექტის რეგისტრაციისთვის პორტალზე უნდა აიტვირთოს შემდეგი სახის დოკუმენტები:

ა) ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის N01-08/39 ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად შედგენილი საპროექტო განაცხადი;

ბ) სარეკომენდაციო წერილი (გაწეული რეკომენდაცია უნდა იყოს პროექტის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ და მასში უნდა იყოს ასახული პროექტის მნიშვნელობა შესაბამისი დარგისთვის/მიმართულებისთვის);

გ) სტუდენტის ავტობიოგრაფია (CV);

დ) ცნობა სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ;

ე) საინიციტივო ჯგუფის/კლუბის/ ან/და სხვა სახის გაერთიანების სახელით წარმოდგენილი პროექტის შემთხვევაში პროექტზე პასუხისმგებელმა პირმა (შემდგომში ხელმძღვანელმა) აგრეთვე უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ამ გაერთიანების ძირითადი მიზნების შესახებ და აგრეთვე ამ გაერთიანების მიერ განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. სტუდენტთა სამეცნიერო პროექტის ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 3000 ლარს, ხოლო საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი ან სპორტული მიმართულების სტუდენტური პროექტის ბიუჯეტი - 5000 ლარს.
5. რეკომენდირებულია სტუდენტური პროექტის განხორციელების პერიოდი არ აღემატებოდეს 4 თვეს (ასეთ შემთხვევაში, პროექტის განხორციელების პერიოდის ნახევრის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი უნდა იქნეს პროექტის მიმდინარეობის შუალედური პროგრამული და ფინანსური ანგარიში).
6. წინამდებარე ბრძანება, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N02 გადაწყვეტილება, „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის N01-08/39 ბრძანება და „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადის საბიუჯეტო კლასიფიკაციისა და გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობების განსაზღვრის თაობაზე“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 16 აპრილის N01-11/51 ბრძანება საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე („კონკურსების“, სტუდენტური პროექტებისა და სამართლებრივი აქტების ველში).

7. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს).

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშილის ქ. N30).
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ხალვაში**